


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში


კახაბერ კირტავა
„04“ „08“ 2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამმართველო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 10/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	11
მნიშვნელოვან საკითხთა ბაზგასმა	11
• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება	11
• გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების მდგომარეობა.....	11
• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა	12
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	15
ანგარიშგების ფორმები.....	16

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამმართველოს 2013 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამმართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამმართველოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. დაფიქსირდა გაწეული ხარჯების არასწორი აღრიცხვის ფაქტი

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოსა“ და შპს „NEW STILE“-ს შორის 2013 წლის 11 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, ქობულეთის სატყეო ადმინისტრაცია-გომისმთაზე კოტეჯის მშენებლობის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 23,4 ათას ლარს შეადგენდა და კაპიტალური შენობის მშენებლობას ითვალისწინებდა. 2013 წლის 18 ნოემბერს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შესრულებულად ჩაითვა 1784 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. თანხა გადარიცხული იქნა 2013 წლის 27 ნოემბერს და გატარებულია 7299 ანგარიშზე (სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება). აღნიშნული ხარჯების გაწევის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა¹, რომლის მიხედვითაც დაუმთავრებელი მშენებლობა

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი

აღირიცხება 2140 ანგარიშზე და მშენებლობის დასრულების შემდეგ მიღებული აქტივი, ექვემდებარება ძირითად აქტივად აღიარებას.

2. სსიპ „სატყეო სააგენტოს“ დაკვეთით შესრულებული 336,0 ათასი ლარის ღირებულების მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია არ არის აღიარებული აქტივებად.

სსიპ „სატყეო სააგენტოს“ დაკვეთით 2013 წელს შესრულებულია, სააგენტოს მართვაში არსებული ტყის სხვადასხვა უბანზე გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად გაკეთდა 10კმ ახალი გზა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 კმ გზას, რითვისაც შემსრულებლებზე გადახდილია სულ 366,0 ათასი ლარი. სამუშაოები შესრულებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესაბამისად და თავისი შინაარსით აქტივის მშენებლობასა და არსებით გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, რის გამოც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ექვემდებარებოდა აქტივად აღიარებას, რაც არ განხორციელებულა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სამმართველოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის 2013 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა გარემოს დაბინძურების ფაქტები, რომლებზეც შესაბამისი რეაგირება არ განხორციელებულა. შედეგად ვერ მოხდა გარემოს დაბინძურების აღკვეთა და ბიუჯეტს დასარიცხი საჯარიმო სანქციის სახით პოტენციური შემოსავლები დააკლდა. ამასთან, სამმართველოს არ აქვს ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებულ დარღვევებზე განხორციელებული რეაგირების შედეგების შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2012 წლის ანალოგიური პროგრამის განხორციელებისას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N21 განკარგულების შესაბამისად, დამტკიცებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამა - აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი. დამტკიცებული პროგრამის მიზანს ზღვის ზოლის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერისა

და წყლის დამაბინძურებელი ობიექტების მონიტორინგი, ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, მავნე ნივთიერებეთა ჩაშვების მინიმიზაცია, გამოვლენილ დარღვევებზე შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა და რეაგირება წარმოადგენდა. პროგრამის შესრულების მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, შპს „სპექტრთან“² და სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრთან“³ გაფორმდა ხელშეკრულებები ატმოსფერული ჰაერისა და წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების ანალიზის ჩატარების შესახებ. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიული დასკვნების შესაბამისად, გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი⁴ გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე გადაჭარბებული მონაცემების დაფიქსირების შემთხვევაში, მასალები იგზავნებოდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში, რომელიც დადგენილი წესების შესაბამისად აჯარიმებდა გარემოს დამაბინძურებელ სუბიექტს.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი მასალების შესაბამისად დადგენილია, რომ ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის დადგენის 9 ფაქტი, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში. შესაბამისი პასუხიშემგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ საქმეებზე ყველა შემთხვევაში მიღებულია გადაწყვეტილება შესაბამისი პირების დაჯარიმების შესახებ, თუმცა აღნიშნულის დოკუმენტური დადასტურება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა, რომ 2013 წელს, ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის დადგენის შესახებ 2 ფაქტი, ნორმის გადამეტების მიუხედავად, არ არის გადაგზავნილი გარემოს დაცვის სამინისტროში. შედეგად ვერ მოხდა გარემოს დაბინძურების აღკვეთა და ბიუჯეტს დასარიცხი საჯარიმო სანქციის სახით პოტენციური შემოსავლები დააკლდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ანალოგიური პროგრამის განხორციელებისას რეაგირება არ მოჰყოლია გარემოს ზენორმატიული დაბინძურების 6 გამოვლენილ ფაქტს.

რეაგირების გარეშე დატოვებულია:

N	ობიექტის დასახელება	გამოკვლევის ოქმის ნომერი და თარიღი	ნივთიერებათა დასახელება	მაჩვენებლის ფაქტიური კონცენტრაცია	ნორმატექნიკური რეგლამენტის შესაბამისად	შენიშვნა
1	ი/მ „ბენდერას ქაია“	1460 02.09.2013	ჯბმ	26,0 mg/dm ³	25,0 mg/dm ³	წყლის კვლევა
2	შპს „სანდასუფთავება“	816 24.06.2013	საერთო აზოტი	15,8 mg/m ³	15,0 mg/dm ³	წყლის კვლევა

² SPA130002377. ხელშეკრულება N13. 01.02.2013

³ SPA130002380. ხელშეკრულება N14. 01.02.2013

⁴ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N745 ბრძანება. 13.11.2008.

2. „აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, მიმწოდებელზე ავანსად ჩარიცხული 148,5 ათასი ლარი და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დარიცხული პირგასამტეხლო 29,7 ათასი ლარი, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის არ არის ჩარიცხული ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში. ამასთან, ადგილი აქვს ხელშეკრულებების პირობების არასწორად განსაზღვრისა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე არასათანადო კონტროლის განხორციელების ფაქტებს, რაც ართულებს შემსრულებლის მიერ ვალდებულებების არასრულად შესრულების დადასტურებას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ, 2013 წლის 1 ოქტომბერს „აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შპს „მეგა სერვის ცენტრთან“, ორ შემთხვევაში გაფორმდა ხელშეკრულებები⁵ ქობულეთის პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებების ღირებულება შესაბამისად 270,9 ათასი ლარითა და 224,0 ათასი ლარით განისაზღვრა და დაწესებულ ვადებში, ქობულეთის პლაჟის შესაბამის უბნებში საერთო ჯამში 100,0 ათასი კუბ.მ ქვიშა-ხრემის ჩაყრას ითვალისწინებდა.

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შპს „მეგა სერვის ცენტრს“, წარმოდგენილი საბანკო გარანტიების საფუძველზე, ავანსის სახით ჩაერიცხა სულ 148,5 ათასი ლარი. მათ შორის N160 ხელშეკრულების ფარგლებში -67,2 ათასი ლარი, ხოლო N161 ხელშეკრულების ფარგლებში - 81,3 ათასი ლარი.

შპს „მეგა სერვის ცენტრის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოპოვებული და გამოყენებულია სულ 47,9 ათასი კუბ.მ ქვიშა-ხრემი. ფორმა N2-ში მოყვანილი მონაცემების გადამოწმების მიზნით შექმნილი კომისიის⁶ ზედამხედველობით, ტექნიკური ზედამხედველის ი/მ „გენრიხ კარსანაძის“ მიერ კარიერზე ჩატარებული იქნა აზომვითი სამუშაოები, რომლის შედეგებითაც ფიქსირდება რომ N160 ხელშეკრულების ფარგლებში ფორმა N2-ში ნაჩვენები 15.0 ათასი კუბ.მ ქვიშა-ხრემისა, მოპოვებული და გამოყენებულია 9.2 ათასი კუბ.მ ქვიშა-ხრემი, ხოლო ხელშეკრულება N161-ის გარგლებში კი ნაცვლად ფორმა N2-ში ნაჩვენები 32.9 ათასი კუბ.მ-სა -21.2 ათასი კუბ.მ ქვიშა-ხრემი.

⁵ N160. ღირებულება 270,9 ათასი ლარი და N161. ღირებულება 327,5 ათასი ლარი.

⁶ სამმართველოს უფროსის ბრძანება N01-06/37. 31.10.2013

აღნიშნული შეუსაბამოებების გამო, სამმართველოს მიერ არ მოხდა სამუშაოების მიღება და ავანსად ჩარიცხული 148,5 ათასი ლარის დაბრუნებისა და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს 29,7 ათასი ლარის ამოღების მოთხოვნით, 2014 წლის 21 იანვარს მიმართა ბათუმის სასამართლოს. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია და შესაბამისად არც თანხები ჩარიცხულა დაანიშნულებისამებრ. აღსანიშნავია, რომ საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის მოქმედება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, დავის მიმდინარეობის პერიოდისათვის შეჩერებულია.

სატენდერო განცხადებების⁷ ტექნიკური პირობებით მოთხოვნილია, რომ სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელს უნდა ეწარმოებინა სამუშაოთა წარმოების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაიწერებოდა დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობა, შემსრულებელი პერსონალის მონაცემები, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალი, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში და სხვა. ამ ჟურნალში ტექზედამხედველს სისტემატიურად უნდა აღენიშნა თავისი შენიშვნები, დაკვირვებები და რეკომანდაციები სამუშაოს წარმოების შესახებ, თუმცა შესყიდვის შედეგებიდან გამომდინარე 2013 წლის 1 ოქტომბერს შპს „მეგა სერვის ცენტრთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული სატენდერო განცხადების მოთხოვნა სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით⁸. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებით განსაზღვრული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულია, თუმცა მის მიერ მოხდა როგორც სამმართველოს კომისიის ზედამხედველობით ჩატარებული აზომვითი სამუშაოების, ასევე შპს „მეგა სერვის ცენტრის“ მიერ შესრულებული სამუშაოების დადასტურება, რაც როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ურთიერთგამომრიცხავი ფაქტებია. აღსანიშნავია, რომ ამ პირობებში არ დამდგარა ტექნიკური ზედამხედველის⁹ ი/მ „გენრიხ კარსანაძეს“, პაუსხიმგებლობის საკითხი.

ყოველივე აღნიშნული, ართულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის დადასტურებას, რის შედეგადაც ვერ ხერხდება ავანსად ჩარიცხული საბიუჯეტო თანხებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების არასათანადო შესრულებისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში ჩარიცხვას.

⁷ SPA130018442 და SPA130018441

⁸ შესრულებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

⁹ SPA130020189. ხელშეკრულება N154. 26.09.2013 და SPA130021293. ხელშეკრულება N172. 10.10.2013

3. 2013 წელს გამოყოფილი ტყე-კაფის ათვისებისა და სსიპ „სატყეო სააგენტოს“ დაკვეთით მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისას მოჭრილ და დამუშავებულ ხე-ტყის მონაცემებს შორის შეუსაბამოებები, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების არასრულად შესრულების ან ბუნებრივი რესურსის უკანონოდ გაცემის მიმართებით მნიშვნელოვან რისკ ფაქტორზე მიუთითებს.

სსიპ „სატყეო სააგენტოს“ მიერ 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად 5 შემთხვევაში გათვალისწინებული იქნა სატყეო ადმინისტრაციებში მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობისა და არსებული გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 366,0 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 10 კმ ახალი გზის მშენებლობისა და 20 კმ არსებული გზის შეკეთებითი სამუშაოების შესყიდვას. წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესაბამისად გზების მშენებლობისათვის გათვალისწინებულია სულ 1287 ძირი სხვადასხვა დიამეტრის ხის მოჭრა, გადატანა და დამუშავება. წარმოდგენილი მიღება - ჩაბარების აქტების შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია სრულად რაც წინააღმდეგობაშია შესაბამის სატყეო უბნებში, გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების მონაცემებთან. კეძოდ:

N	ხელშეკრულება			სატყეო უბანი		ფორმა N2-ით მოჭრილი ხეების რაოდენობა	ტყე-კაფის ათვისების მონაცემები
	ნომერი და თარიღი	თანხა	შემსრულებელი	დასახელება	ნომერი		
1	01-38/76. 19.08.2013	66.9	შპს „გუმბათი N7“	აჭიგოეთი	53	22	0
2	01-38/82. 21.08.2013	69.7	შპს „რალი კონტინენტალი“	მაჭახელა	გორგაძეთი	17	0
				თხილნარი	13	19	0
				ერგე-ორთაბათუმი	35	12	0
				ერგე-ორთაბათუმი	22	19	0
				მახუნცეთი	22	17	0
3	01-37/78 19.08.2013	68.5	ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“	მერისი	3	13	0
				ცხმორისი	ზვარე	11	0
	ჯამი					130	0

როგორც ცხრილიდან ჩანს, გზების სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას მოჭრილია 130 ძირი სხვადასხვა დიამეტრის ხე, რომელიც ტყე-კაფის მონაცემებში არაა გათვალისწინებული, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად აღნიშნულ უბნებში 2013 წელს ტყეკაფის ათვისება საერთოდ არ მომხდარა. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება სხვა უბნებში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მოჭრილი ხე-ტყის, ტყე-კაფის საერთო ათვისების მონაცემებში ასახვის მდგომარეობა.

სსიპ „სატყეო სააგენტოს“ მიერ წარმოდგენლ დოკუმენტაციებში არსებული ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოებები, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების

არასრულად შესრულების ან ბუნებრივი რესურსის უკანონოდ გაცემის მიმართებით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.¹⁰

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ არ წარმოებდა სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვა, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს¹¹.

• გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების მდგომარეობა

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2013 წელს დაფიქსირებულია ტყის სარგებლობის წესების დარღვევის 218 ფაქტი, სადაც აღრიცხულია 1670,9 კუბ.მ ხე-ტყის უნებართვო ჭრის ფაქტები. გარემოზე მიყენებული ზიანი 179,6 ათას ლარს შეადგენს.

გამოვლენილი უნებართვო ჭრებიდან კონკრეტული დამრღვევები გამოვლენილია 212 შემთხვევაში, რის შესახებაც მასალები რეაგირებისათვის გადაცემულია ბუნებრივი რესურსების სააგენტოს აჭარის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებში. გამოსავლენი რჩება 6 შემთხვევა 145,2 კუბ.მ ხე-ტყის უნებართვო ჭრასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სამმართველო არ ფლობს ინფორმაციას ბუნებრივი რესურსების სააგენტოს აჭარის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულ მასალებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ.

¹⁰ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტის მოთხოვნები.

¹¹ დარღვეულია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 30-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნები

ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 10583,3 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 5177,3 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 48,9 პროცენტია. სამმართველოს სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:


დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს აპარატი	1155,9	1142,1	13,8	98,8
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	6335,4	970,8	5364,6	15,3
სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“	3092,0	3064,4	27,6	99,1
ჯამი	10583,3	5177,3	47,2	48,9

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2013 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2013 წლის ბიუჯეტი		2013 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა- საკასო	შესრ. %
	დამტკ.	დაზუსტ.	საკასო	ფაქტობრივი	მეტობა	ნაკლებობა		
სულ ხარჯები								
1. ხარჯები	9483.6	9483.2	4077,5	4169.9	92.4		5405.7	43%
მათ შორის								
1.1 შრომის ანაზღაურება	843.4	839.6	835.5	835.5			4.1	99.5%
1.2 საქონელი და მომსახურება	285.9	285.9	226.2	228.0	1.8		59.7	79.1%
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება				231.2	231.2			
1.5. სუბსიდიები	2090.4	2090.1	2062.7	2070.5	7.8		27.4	98.7%
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	4.8	8.7	8.7	8.7			0	100%
1.8 სხვა ხარჯები	6259.0	6259.0	944.4	795.9		148.4	5314,6	15.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა								
2. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	1099.7	1099.7	1099.5				0.8	99.9%
3. ვალდებულებები	0,3	0,3	0,3				0	100%
სულ	10583.3	10583.3	5177.3				5406.0	48.9%

სხვაობა 2013 წლის ფაქტობრივსა და საკასო ხარჯების შორის ავანსად გადარიცხულ თანხებზე მოდის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 და 2013 წლების საკასო ხარჯების შედარების დინამიკა:



წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ სამმართველოს (ნაერთი ანგარიში) 2013 წლის ხარჯები, გასული წლის მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, კერძოდ:

✓ თანამდებობრივი სარგოს 218.8 ათასი ლარით შემცირების პირობებში გაზრდილია პრემია - 64.1 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ სსიპ „სატყეო სააგენტოს“ თანამშრომლებზე პრემია 40.5 ათასი ლარის ოდენობით გაცემულია საკუთარი შემოსავლებიდან და არ შედის ზემოთ აღნიშნულ თანხაში. გაზრდილია ასევე შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -12.0 ათასი ლარით, მივლინება - 4.8 ათასი ლარით, ოფისის ხარჯი - 1.3 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი - 1.9 ათასი ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 26.1 ათასი ლარით, სუბსიდიები - 851.5 ათასი ლარით, სოც. უზრუნველყოფა - 3.4 ათასი ლარით. ამავე დროს შემცირებულია ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი - 23.1 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 538.8 ათასი ლარით.

➤ 2012 წელთან შედარებით სამმართველოს აპარატში გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი 117.3 ათასი ლარით. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯებიდან 336.0 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რომელიც მთლიანი შრომის ანაზღაურების 40.2% შეადგენს. წლიური მონაცემების შეჯამებით, პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად თითოეულ თანამშრომელზე 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად - 100%-ის ოდენობით.

➤ 2013 წლის მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები 10.1 ათას ლარს შეადგენს, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 4.8 ათასი ლარით მეტია. სამივლინებო ხარჯების უმეტესი წილი ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვისაა გაწეული.


➤ 2013 წელს, სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“, სუბსიდიის მუხლით დაფინანსებული იქნა 2062.7 ათასი ლარით, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 851.5 ათასი ლარით მეტია.

➤ სხვა ხარჯების მუხლით 2013 წელს გაწეულია 944.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც 538,8 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელზე და შავი ზღვის სანაპირო ზოლის აჭარის მონაკვეთის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა.

➤ სამმართველოს 2013 წელს არაფინანსური აქტივების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 1099.5 ათას ლარს შეადგენს, რაც 997,3 ათასი ლარით მეტია 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე და წლიური დაზუსტებული გეგმის 99,9 პროცენტია.

➤ როგორც აღნიშნეთ, სამმართველოს 2013 წლის ბიუჯეტი 48.9 პროცენტით შესრულდა. საბიუჯეტო გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებლებია: აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიებების კუთხით, სადაც გეგმა შესრულებულია 71.7%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 354.5 ათასი ლარი, ადლიის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის კუთხით, სადაც გეგმა შესრულებულია 0.8%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 4960.1 ათასი ლარი და ეროზირებულ ტერიტორიაზე ტყის გაშენების ღონისძიების კუთხით, სადაც 50,0 ათასი ლარის საბიუჯეტო ასიგნების გამოყოფის პირობებში, საკასო ხარჯი არ გაწეულა. აღნიშნული ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმა-შესრულებაზე მიუთითებს.

აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 წლის საკასო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:



აუდიტის პერიოდში სამმართველოს აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 31 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 22 შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით დასრულდა 3 და ტენდერი არ შედგა 6 შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული 243 ხელშეკრულებიდან 4 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 16 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის საშუალებით და 223 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვით.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

 4.08.2014 წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორ ასისტენტი/

 4.08.2014 წ.

რამაზ დიასამიძე /აუდიტორ ასისტენტი/

 4.08.2014 წ.

ანგარიშების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

(ნაერთი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ორგანიზაციის დასახელება

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური

ზომის ერთეული: ლარი

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისით ს	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიშო ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიშო უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	50362	162222
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	5586	16276
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	125	125
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
